საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N170 2024 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 30 110 000 (ოცდაათი მილიონ ას ათი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 420 000 (ოთხი მილიონ ოთხას ოცი ათასი) ლარისა;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 862 000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაორი ათასი) ლარისა;

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 449 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდაცხრა ათასი) ლარისა;

დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 130 000 (ერთი მილიონ ას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ე) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ვ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 690 000 (ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ზ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 583 000 (ხუთას ოთხმოცდასამი ათასი) ლარისა;

თ) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 378 000 (ორი მილიონ სამას სამოცდათვრამეტი ათასი) ლარისა;

ი) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა;

კ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 471 000 (ოთხას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ლ) თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 027 000 (ოთხი მილიონ ოცდაშვიდი ათასი) ლარისა;

მ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 242 000 (ორას ორმოცდაორი ათასი) ლარისა;

ნ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 221 000 (ორას ოცდაერთი ათასი) ლარისა;

ო) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 193 000 (ას ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარისა;

პ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 191 000 (ას ოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ჟ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 93 000 (ოთხმოცდაცამეტი ათასი) ლარისა;

რ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 071 000 (ორი მილიონ სამოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

ს) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 744 000 (შვიდას ორმოცდაოთხი ათასი) ლარისა;

ტ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარისა;

უ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 460 000 (ორი მილიონ ოთხას სამოცი ათასი) ლარისა;

ფ) წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 270 000 (ერთი მილიონ ორას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ქ) ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 020 000 (ერთი მილიონ ოცი ათასი) ლარისა;

ღ) კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 830 000 (რვაას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ყ) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

შ) ადიგენის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ჩ) ახალციხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 185 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**